საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2327 2019 წლის 11 ნოემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად ნ. მიქელაძის, გ. ლილუაშვილისა და ნ. ბერიძის დანიშვნის თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ივნისის N1280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად ნ. მიქელაძის, გ. ლილუაშვილისა და ნ. ბერიძის დანიშვნის თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ივნისის N1280 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის

წარდგენისა და მომხსენებლებად ბ. დოჭვირისა და ნ. ბერიძის დანიშვნის თაობაზე";

ბ) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ შეთანხმებაზე, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი ბექა დოჭვირი, ხოლო საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი ნანა ბერიძე.".

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**